# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №14-22.12
(გამარტივებული შესყიდვა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის თანახმად)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის 22 დეკემბერს ქ. თბილისში.

ერთი მხრივ, შ.პ.ს. „თეთნულდი დეველოპმენტი" შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბექა ჩოგოვაძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი" შემდგომში „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის..

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი"-ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,შემსყიდველი" უკვეთავს ხოლო ,,მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, შპს „თეთნულდი დეველოპმენტისთვის„ საჭირო აკუმლიატორი OPTIMA 50 ა/ს RT C4.2

| დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|
| აკუმლიატორი OPTIMA 50 ა/ს RT C4.2 | 1 | 467.00 | 467.00 |

2.2. CPV- 18400000

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 467.00 (ოთხასსამოცდაშვიდი ლარი და ნული თეთრი)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან.

## 4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია: უზრუნველყოს 1 ერთეული აკუმლიატორი OPTIMA 50 ა/ს RT C4.2 მიწოდება.

4.1.1. საქონლის მიწოდება მოახდინოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

4.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია:

4.3.1. განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.4.1. მიმწოდებლისგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

4.4.2. შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი.

4.4.3. მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

## 5. ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ხარისხის შემოწმება.

## 6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

1 ერთეული აკუმლიატორი OPTIMA 50 ა/ს RT C4.2, მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, მიმწოდებლის მიერ მითითებული ადგილი.

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2016 წლის 24 დეკემბრამდე.

## 7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება შპს „თეთნულდი დეველოპმენტის შესყიდვების სპეციალისტს თორნიკე ერისთავს.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი საქონლის მიწოდების დადასტურების და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის ანგარიშ-ფაქტურა (არსებობის შემთხვევაში).

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შპს „თეთნულდი დეველოპმენტის შესყიდვების სპეციალისტი თორნიკე ერისთავი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ანგარიშსწორების წესი

9.1. მიწოდებული საქონლის ანაზღაურება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად. ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების 7.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

9.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

## 10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ

ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

10.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.4. არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო საქონლის მიწოდება. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5. მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს საქონლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

10.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2 % პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტესლოს ანაზღაურება.

10.7. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.8. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ფორს მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2. ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

## 15. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან :

შპს „თეთნულდი დეველოპმენტი "
საიდ. კოდი:236049904
მის: ქ.თბილისი, კოსტავას ქუჩა N70
სს „ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი NREPLGE22
ა/ა GE96BR0000010285404361

შპს „თეთნულდი დეველოპმენტი"-ს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ბექა ჩოგოვაძე

მიმწოდებლის მხრიდან:

შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"
მის: ქ. თბილისი დავით აღმაშენებელის
ხეივანი მე-12 კილომეტრი N5
საიდ. კოდი:202177205
ს.ს. „თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBG22
ანგარიშის ნომერი: GE80TB0600000024467853

შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"-ს გენერალური
დირექტორი:

თემურ კოხოძე

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი

22 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „თეთნულდი დეველოპმენტი“ შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი შესყიდვების სპეციალისტის თორნიკე ერისთავის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“, შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით, ვდებთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ „შემსყიდველმა“ მიიღო, ხოლო „მიმწოდებელმა“ ჩააბარა 2016 წლის 22 დეკემბერს N14-22.12 ხელშეკრულების პირობების ზუსტი დაცვით ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემდეგი საქონელი.

| დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|
| აკუმლიატორი OPTIMA 50 ა/ს RT C4.2 | 1 | 467.00 | 467.00 |

მოწოდებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 467.00 (ოთხასსამოცდაშვიდი ლარი და ნული თეთრი) ლარი.

შ.პ.ს. „თეთნულდი დეველოპმენტი“-ს

შესყიდვების სპეციალისტი: თორნიკე ერისთავი

შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“-ს გენერალური

დირექტორი: თემურ კოხოძე

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია
საქართველოს
ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

გადაგზავნილი

| 1 | ეა-08 1576063 |
|---|---|

| 3 | დეკემბერი | 2016 |
|---|---|---|

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

| 4 | 22 | დეკემბერი | 2016 |
|---|---|---|---|

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

**5** გამყიდველი

5.1 202177205
(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2 შპს თეგეტა მოტორსი
დასახელება (სახელი, გვარი)

**6** მყიდველი

6.1 236049904
(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2 შპს თეთნულდი დეველოპმენტი
დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| აკუმულატორი Optima 50 ა/ს RT C 4.2 | ცალი | 1,000 | 467,00 | 71,24 | |
| | | სულ | 467,00 | 71,24 | |

| 7 | საქონლის ზედნადების No<br>0280118671 | 8 | თარიღი<br>22-დეკემბერი-2016 |
|---|---|---|---|

ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა ____________________ ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა ____________________ ბ.ა.

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ-0280118671 |
|---|---|---|

| 2 | 22/12/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 13:26:28 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

| 4 | შპს თეგეტა მოტორსი | 202177205 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება, ან სახელი, გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | შპს თეთნულდი დეველოპმენტი | 236049904 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება ან სახელი, გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | ქ.თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N5 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | კოსტავას 70 |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | საავტომობილო |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | LL27600 |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

| X |
|---|

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | 01031001380 თორნიკე ერისთავი |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის (გამგზავნის)/მყიდველის (მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | მყიდველი- 0.0000 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი* |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აკუმულატორი Optima 50 ა/ს RT C 4.2 | 20300310 | ცალი | 1 | 467.0000 | 467.0000 |

| 13 | 467.00 ოთხას სამოცდაშვიდი ლარი და ნოლი თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | ოპერატორი: ლალი კენჭიაშვილი |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | თორნიკე ერისთავი |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |
|---|---|---|---|

თარიღი (წელი, თვე, რიცხვი) დრო (საათი, წუთი)

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა

შენიშვნა: დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 22.12.2016 13:26:37

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS

შპს „თეგეტა მოტორსი", საქართველო, 0131 ქ. თბილისი

115783
შპს თეთნულდი დეველოპმენტი
236049904

03

# ინვოისი

ნომერი / თარიღი
2003174071 / 21.12.2016
შეკვეთის ტიპი / გადახდის პირობა
გადარიცხვის შეკვეთა / მომენტალური გადახდა
მაღაზია / პასუხისმგებელი პირი
ცენტრალური-შოურუმი / M.VASHAKIDZE
შენიშვნა

ინვოისი ძალაშია გამოწერიდან სამი საბანკო დღის განმავლობაში.
გარანტია ვრცელდება მხოლოდ თეგეტა_მოტორსის სერვის ცენტრში დამონტაჟებულ სათადარიგო ნაწილებზე, გადახდის დამადასტურებელი საბუთის (ჩეკის) წარმოდგენის შემთხვევაში

| № | კოდი | დასახელება | რაოდენობა | ფასი | ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 10 | 20300310 | აკუმულატორი Optima 50 ა/ს RT C 4.2 | 1ც | 467,0000 GEL | 467,00 |
| | | | ჯამი | | 467,00 GEL |
| | | | მათ შორის დღგ | | 71,24 GEL |

მიმღების საბანკო რეკვიზიტები: შპს „თეგეტა მოტორსი", ალმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N 5, ს/კ: 202177205
ქ. თბილისი, სს „თიბისი ბანკი"_ს ცენტრალური ფილიალი, TBCBGE22, GE80TB0600000024467853
Tel: +99532224444 +99532226444, Fax: +99532224444(1119), E-mail: info@tegetamotors.ge, WEB: www.tegetamotors.ge